



დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი ძირითადი მიზეზები და მათ წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის ღონისძიებები

კუცია მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ანოტაცია: დეკორატიული მცენარეები არიან ისეთი მცენარეები, რომლებსაც ზრდიან ლანდშაფტის, სახლების თუ სხვა ადგილების დეკორაციისთვის. ისინი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ შენობების რეკრეაციის მხრივ, ვიზუალურ ეფექტთან ერთად ქმნიან სუფთა გარემოს და უწყობენ ხელს ჩვენს ჯანმრთელობას. ამ მიზეზების გათვალისწინებით აუცილებელია, რომ თანდათან უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდეს ამ სექტორით და ჩვენ, საზოგადოებამ დავიწყოთ ზრუნვა, რომ ჩვენი საარსებო გარემო იყოს მეტად უფრო ჯანსაღი და ლამაზი, ვიდრე არის, ამის მისაღწევად კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა დეკორატიული მცენარეები. დეკორატიული მცენარეების მოვლის დროს უდიდესი როლი ენიჭება მათ დაცვას არახელსაყრელი გარემო პირობებისაგან. ჩვენს მიერ განხილულია დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, შესწავლილია ძირითადი მავნებლები, აგრეთვე მათ წინააღმდეგ გამოყენებული ეფექტური ბრძოლის ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: დეკორატიული მცენარეები, დაზიანება, მცენარეების დაცვა

დეკორატიულ მცენარეებს იყენებენ ლანდშაფტისა და შენობების სივრცის გასალამაზებლად. თვითონ სიტყვა decoro - ლათინურად ნიშნავს ვრთავ, ვალამაზებ. ხეები და ბუჩქები ახდენენ მწვანე ფონისა და ჯანსაღი გარემოს შექმნას, ხოლო ყვავილები ახალისებენ და უფრო ალამაზებენ სივრცეს. ბაღებში დეკორატიული დანიშნულებით მიღებულია ისეთი ხეების გახარება, რომლებიც იძლევიან ნაყოფს, თუ ისინი ამავდროულად ვიზუალურად მომხიბვლელელებიც არიან. დეკორატიული მცენარეები უზრუნველყოფენ საკვებს და თავშესაფარს ცოცხალი სამყაროს ბევრი წარმომადგენლისთვის. ზოგიერთი მათგანი ფრთხილად აკურატულად დაგეგმილი ლანდშაფტებისთვის მავნებელს წარმოადგენს. სხვა სახეობები ხელს უწყობენ დამტვერვას და გამრავლებას. ხილის და კენკროვანი მცენარეები იზიდავენ ფრინველებს და პატარა ცხოველებს. ზოგჯერ მთელი ბაღები განკუთვნილია პეპლების მისაზიდად.

დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების მოვლის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ დაცვას მრავალრიცხოვანი მავნებლებისაგან. მავნებლები მცენარეებში იწვევენ სხვადასხვა სახის დაზიანებებს – ისინი ღრღნიან ღეროებსა და ფესვებს; ჭამენ ბოლქვებს, ტუბერებს, ტუბერბოლქვებსა და ფესურებს; ღრღნიან საყვავილე კვირტებსა და ყვავილებს; აჩონჩხებენ და ჭამენ ფოთლებს; წოვენ წვეს ქსოვილებიდან; ფესვებსა და ღეროებზე იწვევენ გალლების გაჩენას. მავნებლები შეიძლება იყოს მრავალ-

ჭამია და სპეციფიკური. დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების ძირითადი მავნებლებია:

ტკაცუნები ანუ მავთულა ჭიები (Elateridae) - ბალახოვან ყვავილოვან მცენარეებზე გვხვდება რამოდენიმე სახეობა (ტრამალის-*Agriotes gurgistanus* F., შავი-*Athous niger* L., რუხი ანუ ბოსტნის-*Lacon murinus* L., *Brachylacon murinus* L., და სხვა). მცენარეებს აზიანებენ მათი მატლები – ნიადაგში მცხოვრები მავთულა ჭიები. ისინი არიან ყვითელი ან ნარინჯისფერი ფერის, მკვრივი, როგორც მავთული. მატლები ახალგაზრდა მცენარეებს აღრღნიან ფესვებს; შედიან და აკეთებენ ხვრელებს ბოლქვებში, ტუბერებში, ტუბერბოლქვებში და ფესურებში. მავნებლები ვითარდებიან ძლიერ დასარევლიანებულ, ტენიან, მჟავე ნიადაგებში, გარდა ამისა ჭანგით ძლიერ დასენიანებულ ნაკვეთებზე.

მავნებლებთან ბრძოლისათვის მკაცრად უნდა დავიცვათ აგროტექნიკა – ღრმა საშემოდგომო გადაბარვა; რეგულარული თოხნა და სარეველების მოშორება; ნიადაგში ნაცრის, ამონიუმის გვარჯილას, კირის დროული შეტანა. დასენიანებულ ნაკვეთებზე, მცენარეების დარგვის წინ, უნდა შევიტანოთ მსხვილკომპოზიციანი ჰექსაქლორანი, 15-20 გ/მ² - ზე; რიგთაშორისებში ბაზუდინის შეტანა სილასთან ან ნახერხთან ნაზავის სახით.

ღრაჭები – ბალის (*Phyllopertha horticola* L.), მაისის ხოჭო, დასავლეთის ღრაჭა (*Melolontha vulgaris* F.), ივნისის მწერი (*Amphimallon solstitialis* L., *Rhizotrogus solstitialis* L.) და სხვა. ზრდასრული მწერები აზიანებენ ყვავილებს, ხოლო მათი (მიწაში მცხოვრები) მატლები იკვებებიან ფესვებით, ბოლქვებით, ტუბერბოლქვებით და ფესურებით. მატლები თეთრი ფერისაა, მსხვილი, რკალისებრად მოხრილი, გარდიგარდმო ნაკვეთებით დაფარული, კარგად განვითარებული მღრღნელი პირის აპარატით და სამი წყვილი ფეხით.

რწყილი – ჯვაროსანთა რწყილი (*Phyllotreta atra* F.), ფოთოლრწყილი (*Longitarsus linnaei* Duf.). აზიანებენ მრავალ ერთწლოვან მცენარეს – ალისუმს, რეზედას, ლევკოონს, დეკორაციულ კომპოსტოს და სხვას. წვრილი (2-3 მმ) ხოჭოებია, მსტუნავი ფეხებით. ჩნდებიან ადრე გაზაფხულზე, ჯერ სახლდებიან სარეველა მცენარეებზე, შემდეგ კი გადადიან კულტურული მცენარეების აღმონაცენებსა და ჩითილებზე. მავნებლები ფოთლებზე ამოჭამენ პატარა ზომის ნაჩვრეტებს. ზიანი განსაკუთრებით დიდია მშრალი, ცხელი ამინდის პირობებში. მავნებლები ზამთრობენ ნიადაგში, მცენარეული ნარჩენების ქვეშ. კვერცხებს დებენ ნიადაგში.

ყურბელა - ჩვეულებრივი ყურბელა (*Forficula auricularia* L.), ბოსტნის ყურბელა (*Forficula tomis* kol.). აზიანებს მრავალ ყვავილოვან მცენარეს, განსაკუთრებით კი: ასტერს, გეორგინას, ვარდს, ფლოქსს, ხმალას, მიხაკს, მრავალ ერთწლოვანს. ზრდასრული მწერები და მატლები მცენარეებს აზიანებენ ღამე, დღისით კი იმალებიან ნიადაგში ან ყვავილში. იკვებებიან ფოთლებითა და გვირგვინის ფურცლებით. ანადგურებენ აღმონაცენებს და ახალგაზრდა მცენარეებს. ყურბელას სხეული მუქი მურა ფერისაა, წაგრძელებული, 20 მმ-მდე სიგრძის, მოკლე ფრთებით, მუცლის ბოლოზე «მარწუხით». ზამთრობს დედალი (ხან კვერცხი), ნიადაგში.

მოლუსკები - (*Agriolimax melanocephalus* Kal., *Limax flavus* L., *Helix lucorum taurica* Kryn., *Eumphalia ravorgiori* For.). მოლუსკები აზიანებენ ხმალას, ფლოქსს, მიხაკს, გერბერას, შროშანის, სალვიას, ასტერს და მრავალ სხვა ბალახოვან დეკორაციულ მცენარეს. ისინი არიან 5-7 სმ სიგრძის, ნაცრისფერი ან მოყვითალო ფერის, წელიწადში ერთ თაობას იძლევიან. თავის (ქვირითის მაგვარ) კვერცხებს დებენ მცენარეების მახლობლად მიწის კომტების, კენჭების და მცენარეული ნარჩენების ქვეშ. მავნებლები ჭამენ ფოთლებს, ყვავილებსა

და საყვავილე კვირტებს; აზიანებენ ბოლქვებსა და ტუბერბოლქვებს შენახვის დროს; გამოყოფენ ლორწოვან სითხეს და ტოვებენ დამახასიათებელ ვერცხლისფერ კვალს. იკვებებიან ღამით (დღისით კი იმალებიან სამალავში), წვიმიან ამინდში კი დღისითაც. მათთვის არახელსაყრელი პირობებია მაღალი ტემპერატურა და სიმშრალე.

ხვატარი - ბოსტნის (*Polia oleracea* L.), (*Mamestra ileracea* L.), კომბოსტოს (*Barathra brassicae* L.), (*Mamestra brassicae* L.), გამა (*Autographa gamma* L.) ხვატარები აზიანებენ დიდი რაოდენობით დეკორატიულ ბალახოვან მცენარეს, მათი მატლები, ღრღნიან ფოთლებს, საყვავილე კვირტებს, ყვავილებს და მკვეთრად ამცირებენ ყვავილოვანი პროდუქციის ხარისხს. წელიწადში იძლევიან ორ თაობას. მათი პეპლები კვერცხებს დებენ სარეველებზე, აქედან გამოჩეკილი მატლები გადადიან კულტურულ მცენარეებზე და ჭუპრდებიან. ზამთრობენ მეორე თაობის მატლები, ნიადაგში. პოლიფაგები.

კომბოსტოს თეთრულა - (*Pieris brassicae* L.) აზიანებს ერთწლოვანი მცენარეების დიდ ნაწილს- ლევკოიონს, რეზედას, დედოფლის ყვავილს, დეკორაციულ კომბოსტოს და სხვებს. კვერცხებს დებენ მრავალ კულტურულ მცენარეებზე და ჯვაროსანთა ოჯახის წარმომადგენელ სარეველებზე. მცენარეებს აზიანებენ 4 სმ-მდე სიგრძის, მწვანე ფერის, შავი განივი ლაქების მქონე მატლები. ისინი შეესევნიან მცენარეებს, მთლიანად ჭამენ ფოთლებს და მათგან ტოვებენ მხოლოდ ძარღვებს. წელიწადში იძლევიან ორ თაობას.

ბრძოლისათვის საჭიროა - მცენარეული ნარჩენებისა და სარეველების მოსპობა; მცენარეების შესხურება მატლების გამოჩეკის პერიოდში კარბოფოსის (0,1-0,4 %) , ქლოროფოსის (0,15- 0,3 %) ან მეტაფოსის (0,1-0,2 %) სამუშაო ხსნარებით; პრეპარატ სემპაით შესხურება.

მენადმე ბუზი - *Liriomyza brioniae* Kalt. (*Phytomyza atricornis* Mg.) მცირე ზომის, შავი ფერის ბუზებია. ფოთლებზე დებენ კვერცხებს, მატლები იკვებებიან ფოთლის პარენქიმით, რის შედეგადაც ფოთლებზე ჩნდება ღია ფერის სასვლელი გზები. მატლები უთავოა და უფეხო, თეთრი ფერის, სიგრძით 3-5 მმ, ჭუპრობენ ფოთოლშივე, მის ქვედა მხარეს. გავრცელებულია ყველგან.

ბრძოლისათვის საჭიროა - დაზიანებული ფოთლების შეგროვება და განადგურება; მცენარეების შესხურება როგორის, ანთიოს ან ამიფოსის (0,2 %) სამუშაო ხსნარით; პრეპარატების - ისკრა, ფუფანონი, ფოსბეციდი, კინმიკსი, ფიტოვერმი, კარბოფოსი და სხვათა გამოყენება.

ჭიჭინობელები - დუჟიანი (*Philaenus spumarius* L.), მწვანე (*Cicadella viridis* L.). აზიანებს ფლოქსს, გეორგინას, ასტილბას, ასტერს, რუდბეკკიას და სხვას. მავნებლის ღია-ყვითელი მატლები ცხოვრობენ მცენარის ღეროებზე და ყლორტებზე, ფოთლის უბეებში წარმოქმნილ დუჟისმაგვარ გამონაყოფებში. ისინი წოვენ მცენარის წვენს, რითაც იწვევენ ყვითელი ლაქების წარმოქმნას, ფოთლების დახვევასა და ყლორტების დეფორმაციას. ძლიერ დაზიანებული მცენარეები არ ყვავილობენ.

ბრძოლისათვის საჭიროა - ძლიერ დაზიანებული ყლორტების მოშორება და დაწვა; ვეგეტაციის პერიოდში მცენარეების შესხურება როგორის (0,2 %) ან კარბოფოსის (0,1-0,4 %) სამუშაო ხსნარით; პრეპარატების - ისკრა, კინმიკსი, ფუფანონი, აკარინი და სხვათა გამოყენება.

თრიფსები - მიხაკის (*Taeniotrips dianthi* Pr.), ხმალას (*Taeniothrips gladioli* Mand.), თამბაქოს (*Thrips tabaci* Linde.), ორანჟერის (*Heliothrips haemorrhoidalis* Bouche), ბარდას (*Kokothrips robustus* Uz.) და სხვა. მატლები და ზრდასრული ინდივიდები ჩაჩხვლეტენ რა ყვავილის, ნაყოფისა და ფოთლის ეპიდერმისს, წუწნიან წვენს, რომლის დროსაც წვენთან ერთად აყოლებენ ქსოვილის რბილ ნაწილს. დაზიანებულ ადგილებზე ჩნდება პაწაწინა, ყვითელი, ან უფერული ლაქები, რომლებიც იზრდებიან და ხშირად მთლიანად ფარავენ

ფოთოლს. მცენარეს ფოთლები და ყლორტები ეკრუნჩხება, განიცდიან დეფორმაციას. ყვავილი ზიანდება, კარგავს დეკორაციულობას და ნაადრევად ცვივა. ზრდასრული მწერი მურა ფერისაა, ფოჩებიანი ფრთებით, 1,3-1,8 მმ სიგრძის. მატლები ყვითელი ან ნარინჯისფერია, ზამთრობენ ნიადაგში. იმავე ფრენას იწყებს მაისში, დედალი მწერი კვერცხებს მტვრიანებზე დებს. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. მავნებლები მცენარეებს განსაკუთრებულ ზიანს ცხელ და მშრალ ამინდებში აყენებენ. თრიფსები აზიანებენ ბოლქვებსა და ტუბერბოლქვებს მათი შენახვის დროს (თუკი საცავში ტემპერატურა 10°C -ზე მაღალი არის).

აბლაბუდიანი ტკიპა - (*Tetranychus urticae* Koch) ერთ-ერთი ყველაზე საშიში და მრავალჭამია მავნებელია. ტკიპები წუწნიან ფოთლებს ქვედა მხრიდან, რომლებზეც ჩნდება ფოთლის ზედა მხრიდან ადვილად შესამჩნევი, ღია ფერის ლაქები. ძლიერი დაზიანების შემთხვევაში ფოთოლი ყვითლდება, ხმება და ეხვევა აბლაბუდაში. ზრდასრული ტკიპები მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, ოვალური ფორმის, ზურგზე ორი ან სამი ლაქით, 0,3-0,5 მმ სიგრძის, ოთხი წყვილი ფეხით. მოზამთრე მდედრები მოწითალო-ნარინჯისფერი ფერისაა. კვერცხები მსხვილი, ნათელი ფერის, მბრწყინავი. მატლები ზრდასრულ ინდივიდებს გვანან, იმ განსხვავებით, რომ უფრო პატარები არიან (0,12-0,13 მმ სიგრძის) და აქვთ სამი წყვილი ფეხი. წლის განმავლობაში რამოდენიმე თაობას გვაძლევენ. ზამთრობს ზრდასრული დედალი, მცენარეულ ნარჩენებსა და მიწის ზედა ფენაში. კარგად ვითარდებიან ცხელ და მშრალ ამინდში.

ბრძოლისათვის საჭიროა - მცენარეული ნარჩენების, სარეველების შეგროვება და განადგურება; ნიადაგის საშემოდგომო გადაბარვა; მცენარეების რეგულარული მორწყვა და დაწვიმება; მცენარეების შესხურება კელტანის (0,2 %), აკრექსის (0,1 %), კოლოიდური გოგირდის (0,1-0,5 %) სამუშაო ხსნარებით; პრეპარატების - კარბოფოსი, აკარინი, ფიტოვერმი, ფუფანონი, აკტელიკი და სხვათა, აგრეთვე ხახვის და ნიორის ნაყენის გამოყენება.

ბოლქვების ფესვის ტკიპა - (*Rhizoglyphus echinopus* Fum et Rob.) საშიში, მრავალჭამია მავნებელია. აზიანებს სუმბულს, ტიტას, ხმალას, ნარცისს, შროშანის, გეორგინას, ზამზახს და სხვებს. ზრდასრული ტკიპა ოვალური ფორმისაა, ღია ყვითელი ფერის, მბრწყინავი, 0,7-0,8 მმ სიგრძის. მატლები უფრო მცირეა. ტკიპები და მატლები ცხოვრობენ ბოლქვებში, სადაც წუწნიან ქერცლებსა და კვირტებს. ძირითადად სახლდებიან დასუსტებულ, დაავადებულ და დაზიანებულ ბოლქვებზე, რომლებშიც აღწევენ ბოლქვის ძირიდან. ძლიერ დასენიანებული ბოლქვები ღებება, მცენარეები აღარ ყვავილობენ და იღუპებიან. მწერები კარგად ვითარდებიან მაღალი ტემპერატურის და ტენიანობის შემთხვევაში.

ბრძოლისათვის საჭიროა - ჯანმრთელი და საღი სარგავი მასალის გამოყენება და მათი შეწამვლა კელტანით (0,4 %), აკრექსით (0,2 %); მცენარეების შეწამვლა აკრექსის (0,15 %), კელტანის (0,2 %) სამუშაო ხსნარით.

ორანჯერის ფრთათეთრა - (*Trialeurodes vaporariorum* Westw.) პატარა ზომის მწერია, თეთრი, ცვილისმაგვარი ფიფქით. ღია გრუნტში თბილ პირობებში გვხვდება, სათბურში კი მთელი წლის განმავლობაში.

ბრძოლისათვის საჭიროა - შესხურება როგორის, ანთიოს (0,2 %), ამბუმისა და ციმბუმის (0,01%) სამუშაო ხსნარით; პრეპარატების - ისკრა, ფუფანონი, ფოსბეციდი, კონფიდორი, აკტელიკი, ციტკორი, კარბოფოსი, აკტარა და სხვათა გამოყენება.

ჩრჩილი - მრავალჭამია (*Choreutis micalis* mn.), კომბოსტოს (*Plutella maculipennis* Curt.) და სხვა. მცენარეს აზიანებენ მატლები, რომლებიც იკვებებიან ფოთლებით. დაზიანების შედეგად წარმოიქმნება ნაჩვრეტები. ზამთრობენ ჭუპრის სტადიაში მცენარეული ნარჩენების ქვეშ.

ბრძოლისათვის საჭიროა - მცენარეული ნარჩენებისა და სარეველების მოსპობა, ნიადაგის გადაბარვა; შესხურება ქლოროფოსის (0,15-0,3 %), მეტაფოსის (0,12-0,92 %), ფტალოფოსის (0,1-0,15 %) სამუშაო ხსნარებით; პრეპარატ - სემპაის შესხურება.

გალებიანი ნემატოდა - (Meloidogyne sp.) ღია გრუნტის მრავალი მცენარის (შროშანი, ზამბახი, იორდასალამი, ხმალა და სხვა) საშიში მავნებელია. მრავალმჭამელია და სწრაფად მრავლდება. მამრები და მატლები მცირე ზომისაა, ჭიის ფორმის, მდედრებს კი მსხლის ფორმა აქვთ. მავნებლები სახლდებიან მცენარეების ფესვებზე და მათზე იწვევენ გალების გაჩენას, რომელთა ზომა დიამეტრში რამოდენიმე მილიმეტრიდან 5 სმ-მდე მერყეობს. გალებით დაზიანებული ფესვები სწრაფად ლპობიან და მცენარე იღუპება.

ბრძოლისათვის საჭიროა - დარგვის დროს მხოლოდ ჯანმრთელი მცენარეების გამოყენება; დარგვამდე, 20-40 დღით ადრე, ნაკვეთის ნიადაგის შეწამვლა კარბატონის (2-3 %) სამუშაო ხსნარით 5 ლ/მ²-ზე, ნემაგონით 80-100 გ/მ²-ზე; დაბინძურებულ ნაკვეთებზე გულყვითელას, ხახვის, ნიორის დარგვა.

ალურები - Pyralidae. ნაძვის (Dioryctria abietella F.), მზესუმზირის (Hemoesoma nebulella Hb.), და სხვა. ზიანი მოაქვთ მატლებს, რომლებიც იკვებებიან საყვავილე ღეროების კედლებითა და მის შიგნითა ნაწილებით (დაზიანებული ყვავილები და კოკრები ნადრევად ყვითლდება და ხმება), აგრეთვე აზიანებენ ფოთლებს და იწვევენ მათ დაჩონჩხებას.

ბრძოლისათვის საჭიროა - მცენარეული ნარჩენებისა და სარეველების განადგურება; დაზიანებული ყვავილების შეგროვება და განადგურება; დაზიანების შემთხვევაში ადგილების შესხურება ქლოროფოსის (0,15-0,3 %) ან როგორის (0,2 %) სამუშაო ხსნარით. პრეპარატების - ისკრა, ფუფანონი, კინმიკსი, ფოსბეციდი და სხვათა გამოყენება.

ბოლოფეხებიანები - (Collembola) მოთეთრო ფერის მხტუნავი მწერებია. გავრცელებული არიან ნემომპალით მდიდარ, ნესტიან ნიადაგებში. ხშირად გვხვდებიან ქოთნის მცენარეების მიწის ზედაპირზე. მიწის ზედმეტი დატენიანების შემთხვევაში ზოგიერთი სახეობები აზიანებენ ფესვის წვეროებს.

ბრძოლისათვის საჭიროა - მიწის ზედაპირის გამოშრობა; მიწის ზედაპირზე ახლადჩამქრალი კირის, თამბაქოს ან ჰექსაქლორანის დუსტის დაყრა. ქოთნის მცენარე ნახევარი საათის განმავლობაში უნდა ჩავდოთ წყალში, შემდეგ კი წყალი გადავღვაროთ.

ცრუფარიანა - ორანჟერიის ანუ ჯაგრული (Pseudococcus adonidum L.), ციტრუსოვანთა (Coccus pseudomagnoliarum Kuw.), ციტრუსოვანთა ფქვილისებრი (Pseudococcus gahani Green.) და სხვა. მავნებლები აზიანებენ კაკტუსებს, სუროს, კოლეუსს, გვიმრებს, პალმებს, ამარილისებს, ციტრუსოვნებს და სხვა. მცენარეებს ვნებენ ზრდასრული მწერები და სხვადასხვა ასაკის მატლები. ჩვეულებრივ ისინი თავს იყრიან კოლონიების სახით ფოთლის ქვედა მხარეზე, ღეროებზე, ფოთლის უბეებში, ახალგაზრდა ყლორტებზე. საკმაოდ დიდი ზომის, ადვილად შესამჩნევი მწერებია, დაფარული არიან თეთრი ფერის ცვილისებრი ნაფიფქით და ბამბისმაგვარი წარმონაქმნებით. მატლები, საკვების ძებნაში, მოედებიან მთელ მცენარეს და ემაგრებიან ფოთლებზე, მთავარი ძარღვების გასწვრივ. დაავადებული ფოთლები ყვითლდება და ცვივა, ყლორტები ანელებენ ზრდას. დაზიანებული მცენარეები კნინდებიან. მწერების გამონაყოფებზე სახლდებიან ნაცროვანი სოკოები, რის გამოც მცენარე იფარება შავი ნაფიფქით და ხდება ჭუჭყიანი.

ფარისებრნი - (Ostomatidae) ძირითადად აზიანებენ ქოთნის მცენარეებს, გავრცელებულია: ყავისფერი, კაკტუსის, პალმის, სუროს, ასპიდისტრას, ჯადვარის და სხვა. ისინი აზიანებენ ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით კი მარადმწვანე ფოთლოვან, მკვრივი ფოთლების მქონე მცენარეებს. მწერები სახლდებიან ფოთლებზე, ძირითადად მათ ზედა მხარეს და მცენარიდან წუწნიან წვეწვს. აზიანებენ

ზრდასრული მდედრები და მატლები. ზრდასრული მდედრის ფარი დიამეტრში 2 მმ-ს აღწევს, მოწითალო-ყავისფერი ან მუქი-ყავისფერი ფერის. მამრის ფარი უფრო მცირე ზომისაა და წაგრძელებული ფორმის. პირის აპარატი მწუწნავი. ერთი მდედრი ფარის ქვეშ დებს 100-მდე კვერცხს. კვერცხები ღია-ყვითელია, ოვალური ფორმის. გაზაფხულზე მდედრები იწყებენ კვერცხის დებას, მათგან გამოსული მატლები არის მცირე ზომის, მოძრავი, სამი წყვილი ფეხით. გამოჩეკიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში ისინი მოივლიან თითქმის მთელ მცენარეს, ემაგრებიან ფოთლის, ან ნაყოფის კანზე, იფარებიან ფართო, კარგავენ ფეხებს და იწყებენ უძრავ ცხოვრებას. მთლიანი განვითარება, კვერცხიდან ზრდასრულ მწერამდე, ხდება ორი თვის განმავლობაში. წელიწადში იძლევიან სამ თაობას, თუმცა სათბურებში შეიძლება გამრავლდნენ მთელი წლის მანძილზე. ყავისფერი ფარიანა ზოგჯერ ქმნის მკვრივ კოლონიებს, ასეთ შემთხვევაში ფოთოლები შეიძლება მთლიანად დაიფარონ ფარებით, ისინი იცვლიან ფერს, იგრძობიან და ცვივიან. მცენარე წყვეტს ზრდა-განვითარებას და შეიძლება დაიღუპოს კიდეც.

როგორ დავიცვათ მცენარეები მრავალრიცხოვანი მავნებლებისაგან? რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებით, რაც გულისხმობს: ნიადაგის გაუმჯობესებას, გამძლე ჯიშების გამოყენებას, ნაკვეთზე კულტურების სწორ მონაცვლეობას, ჯანმრთელი მცენარეების დარგვას, სწორ მორწყვასა და გამოკვებას. დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების მავნებელ მწერებს ჰყავს თავისი ბუნებრივი მტრები – მწერები, ბაქტერიები და ვირუსები, რომლებიც იკვებებიან ზრდასრული მწერებით და მატლებით. სასარგებლო ბაქტერიები და ვირუსები აავადებენ მცენარეების მავნებელ მწერებს და ანადგურებენ მათ. ბიოპრეპარატების გამოყენება და სასარგებლო ორგანიზმების ენტომოფაგების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ბიოლოგიური ბრძოლის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანია ბიოცენოზებში ბუნებრივი წონასწორობის აღსადგენად.

ლიტერატურა

1. ლობჯანიძე მ., ბერუაშვილი მ., გაგომიძე გ. მცენარეთა დაცვა, თბილისი 2015, გვ. 387.
2. ალექსიძე გ. მცენარეთა დაცვა, თბილისი, 2014, გვ. 270.
3. Каталог декоративных садовых растений. М., 2005.
4. <http://www.teebweb.org/resources/ecosystem-services/>
5. <http://ka.wikipedia.org/wiki/>

THE MAIN REASONS OF DECORATIVE PLANT DAMAGE AND SOME DIFFERENT METHODS TO PREVENT DAMAGE

Kutsia M.

Summary: *Decorative plants belong the kind of plants which are grew for landscape for houses and for redecorate and make more beautiful different places. They play main role, function to make building more creative, almost with special effect makes environment cleaner and fresher. If aforementioned results will be taken into consideration, it is very important to arise peoples attention towards this field and we from our side should think, how, from which way make environment and nature more beautiful, healthier. In order to reach this aim, one of them easiest and more reasonable way is decorative plants. Decorative plants not only make nature and environment prettier, more attractive, also with visual affects make nature healthier and helps our health to refresh. The most important thing is to protect them from useless environment and conditions. In spring, as soon as gets warmer, lots of harmful things awake and grow. They cause lots of damage of decorative plants. We consider the reasons for the damage of decorative plants, the main pests and the effective fight against them.*